ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

ჩოხატაური მარის ქ. 1 saxelovneboskolebisgaertianeba@mail.ru ტელ. (577) 957949

№ 42

24 მაისი 2021 წელი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სოციალურ, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ვლადიმერ სიხარულიძეს

ბატონო ვლადიმერ,

თქვენი წერილი N 47-47211371-17/05/2021 წ. პასუხად, წარმოგიდგენთ ანგარიშს 2020 წლიდან დღემდე, ახალი კორონა ვირუსის (KOVID 19) პანდემიის პირობებში გაწეული საქმიანობის (ჩატარებული ღონისძიები და ფინანსური ანგარიში) შესახებ.

დანართი 4 - ფურცელი11

სახელოვნებო სკოლების
გაერთიანების დირექტორი *ქეთევან გიორგაძე*

441995977

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

2021 წლის ფინანსური ანგარიში 1 მაისის მდგომარეობით

2021 წლის 1 მაისისთვის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას მიღებული აქვს შემოსავლები:

1. ხაზინიდან ტრანსფერი - 107975,43 ლარი
2. საკუთარი შემოსავლები -6020 ლარი

სულ შემოსავლებმა შეადგინა - 113995,43 ლარი.

2021 წლის 1 მაისის მდგომარეობით გაწეულია ხარჯები:

1. შრომის ანაზღაურება - ***103244,36*** ლარი

   1. შტატით მომუშავეთა ხელფასები - 103244,36 ლარი

2. საქონელისა და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯები - ***4843,78*** ლარი

   1. კომუნალური გადასახადები - 1443,26 ლარი . *აქედან - ელ.ენერგია - 346,46*

      ბუნებრივი გაზი - 1032,65

      წყალი - 64,15

   2. კორპორაციული სატელეფონო მომსახურეობა - 295,18 ლარი

   3. დაცვის მომსახურეობა - 360 ლარი

   4. საწვავი - 626,43

   5.ინტერნეტი - 510ლარი

   6.ინფორმაციის გამოქვეყნება - 100 ლარი

   7.საფოსტო მომსახურება - 63.10 ლარი

   8.ინტერნეტ ქსელის მოწყობილობები - 136 ლარი

   9.ფლეიტა - 700 ლარი

   10.საკანცელარიო - 42 ლარი

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება - ხარჯები 2021 წ

4 თვის ანგარიში

	ხარჯი	გაერთიანება	სამუსიკო სკოლა	სამხატვრო სკოლა	მოსწავლე ახალგაზრდ	სულ
1	ხელფასი	21312.62	37115	25236.74	19580	**103244.36**
4	ელ.ენერგია		200	110	36.46	**346.46**
5	წყალი		16.89	10.13	37.13	**64.15**
6	გაზი		684.95	217.55	130.15	**1032.65**
7	დაცვა			180	180	**360**
8	ინტერნეტი		210	150	150	**510**
9	საკანცელარიო	46				**46**
10	ბენზინი	626.43				**626.43**
11	კორპორაციული	180	40	40	35.18	**295.18**
12	ფოსტა	15.1		63.1		**78.2**
17	რეკლამა საგაზეთო	100				**100**
20	მცირეფასიანი ინვენტ	357	700		25	**1082**
21	სადეზინფექციო		78.5	61.5	50	**190**
25	ქონების გადასახადი	112.71				**112.71**
		22749.86	**39045.34**	**26069.02**	**20223.92**	**108088.14**

სახელოვნჯებო სკოლების გაერთიანების დირექტორი: ქ.გიორგაძე

441995977

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება

2020 წლის ფინანსური ანგარიში:

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელოვნებო სკოლების გაერთიანებას მიღებული აქვს შემოსავლები:

1. სუფსიდიის სახით - 315851,01 ლარი
2. თვითმმართველობის სარეზერვო ფონდით - 1556,4 ლარი
3. საკუთარი შემოსავლები - 23756 ლარი

სულ შემოსავლებმა შეადგინა - 341163,41 ლარი

2020 წლის 31 დეკემრისათვის გაწეულია ხარჯები:

1. შრომის ანაზღაურება - **308535,31** ლარი
   1. შტატით მომუშავეთა ხელფასები სუფსიდიით) – 289825,37 ლარი
   2. სამუსიკო სკოლის პედაგოგთა ხელფასები (საკუთარი შემოსავლებით) - 18709,94 ლარი
2. საქონელისა და მომსახურეობაზე გაწეული ხარჯები - **22765,04** ლარი
   1. შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 1350 ლარი
   2. კომუნალური გადასახადები - 4973,43 ლარი . *აქედან - ელ.ენერგია - 644,49*

      ბუნებრივი გაზი - 3738,25

      წყალი - 590,69

3. *დაცვა - 1440 ლარი*
4. *ინტერნეტი - 1800 ლარი*
5. *კორპორაციული სატელეფონო მომსახურეობა - 901,71 ლარი*
6. *საწვავი - 2154,56 ლარი*
7. *საფოსტო-საკურიერო მომსახურება - 216,38 ლარი*
8. *საკანცელარიო საქონელი - 878,25 ლარი*
9. *სამეურნეო საქონელი - 634,75 ლარი*
10. *კარტრიჯის შეძენა-დამუხტვა - 801,30 ლარი*

ADD SCAN TO ANY WEBSITE asprise.com/Scanner.js FOR EVALUATION USE ONLY

2021 წლის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ჩატარებული ღონისძიებები:

3 იანვარი - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სოციალურ FB გვერდზე აიტვირთა საახალწლო მილოცვა: ლექსები- მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მეტყველების წრის მოსწავლეების შესრულებით.

27 იანვარი - ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ხსენების დღისადმი მიძღვნილი სიმღერები (ონლაინ მეცადინეობის შედეგად მომზადებული) მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გიტარის წრის მოსწავლეების შესრულებით.

23 თებერვალი - ჩოხატაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ეკო-კლუბის, ჟურნალისტთა და რეწვის წრის მოსწავლეებმა აქცია მოაწყვეს ჩოხატაურის ქუჩებში **-"ატარე პირბადე შენი და ჩემი უსაფრთხოებისათვის!"** დაარიგეს პირბადეები და შეახსენეს საზოგადოებას დისტანციის დაცვა.

1 მარტი - კითხვის მარათონში ჩოხატაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მეტყველების წრის მოსწავლეებიც ჩაერთვნენ და მსოფლიო მასშტაბის ღონისძიების ონლაინ მონაწილეები გახდნენ..

3 მარტი - დედის დღისადმი მიძღვნილი ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების **ონლაინ გამოფენა.** (ნამუშევრები მომზადებულია დისტანციური მეცადინეობის შედეგად.)

8 მარტი - სამხატვრო სკოლის მოსწავლეების მიერ დედის დღისადმი მიძღვნილი **ონლაინ გამოფენა.**

✓ კლასიკური ნაწარმოებები **სამუსიკო სკოლის** ფორტეპიანოსა და ფლეიტის კლასის მოსწავლეების შესრულებით .

ონლაინ ნაწარმოებები ჩოხატაურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეების შესრულებით (ფლეიტა,ფორტეპიანო).

17 მარტი - ჩეხეთის რესპუბლიკაში ქალაქ ლიდიცეში ბავშვთა ნახატების საერთაშორისო კონურსში - **„ლიდიცე 2021"** ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის 34 მოსწავლის ნამუშევარი გაიგზავნა თემაზე - „რობორტი ჩვენს სამსახურში". აღსანიშნავია, რომ გასულ წელს სამხატვრო სკოლის მოსწავლემ იოანე რუხაძემ 48-ე ბავშვთა საერთაშორისო კონკურსზე 78 მონაწილე ქვეყნის, 22 216 ნამუშევარიდან, 500 საპრიზო ნომინაციაში აიღო საპატიო დიპლომი: **"ძალიან კარგი ნამუშევარი, ფერწერასა და ნახატში"** და საჩუქრები დაიმსახურა.

2 აპრილს - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა (რეგულაციების დაცვით) საბავშვო წიგნისა და აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ინტეგრირებულ შემეცნებითი შეხვედრა გაიმართა : **„ჩემი სამყარო ფერადია..."**

12 - 20 აპრილი - სამუსიკო სკოლის დარბაზში (რეგულაციების დაცვით) გაიმართა **საკლასო კონცერტების კვირეული** პედაგოგების მიხედვით.
12 აპრილი ორშაბათი - პედაგოგი:- თეიმურაზ ჩხიკვაძე.
13 აპრილი სამშაბათი - პედაგოგი: - ქეთევან გიორგაძე.
14 აპრილი ოთხშაბათი - პედაგოგები: - თეა შათირიშვილი, თამარ ანთიძე.
15 აპრილი ხუთშაბათი - პედაგოგი: - ნინო გოგუაძე.
16 აპრილი პარასკევი - პედაგოგი: - ნინო დოლიძე.
17 აპრილი შაბათი - პედაგოგი: - ნინო მინდაძე.
19 აპრილი ორშაბათი - პედაგოგები: - ნინო ცინცაძე, დონარა ბერძენიშვილი, მადონა ჩხიკვაძე.
20 აპრილი პარასკევი - პედაგოგები: - დოდო მამალაძე, ნინო ბერძენიშვილი.

15 აპრილი - მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში (რეგულაციების დაცვით) სიყვარულის დღესთან დაკავშირებით საესტრადო სიმღერისა და გიტარის წრის მოსწავლეების კონცერტი გაიმართა.

22 აპრილი - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ეკოკლუბის მოსწავლეების მიერ **დედამიწის დღისადმი მიძღვნილი აქცია - "დარგეთ ნერგები თქვენი ხვალინდელი დღისთვის"** გაიმართა.

2 მაისი - ონლაინ გაკვეთილების შედაგად შექმნილი სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა სააღდგომო ნამუშევრების **ონლაინ გამოფენა** თემაზე: **„ქრისტე აღსდგა"!**

- **ონლაინ სააღდგომო მილოცვა:** სამუსიკო სკოლის მოსწავლეების შესრულებით(ვიდეოები ატვირთულია სოციალურ ქსელში)

23 მაისი-სამხატვრო სკოლამ მონაწილეობა მიიღო, კომპანია „კრეატივ ივენთის" მიერ დაგეგმილ ბავშვთა და მოზარდთა ნამუშევრების გამოფენაზე- **„ მე მინდა საქართველო მიცნობდეს"**(თავისუფალი თემა) , სადაც გაიგზავნა სამხატვრო სკოლის მოსწავლეების : ნინო მირზაშვილის, ნინო მეგრელიშვილის, მარიამი ჭელიძისა და მზიური მარკოიძის მიერ შესრულებული ნამუშევრები. მონაწილეები დაჯილდოვდნენ მედლებითა და სიგელებით.

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების 2020 წლის ჩატარებული ღონისძიებები:

18 თებერვალი - ოზურგეთის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ტრადიციულად IX რეგიონალური გამოფენა-კონკურსი ,,ზამთრის ვერნისაჟი" გაიმართა. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის მოსწავლეები ოზურგეთის თანამედროვე ხელოვნების ცენტრში ოზურგეთის მერიისა და საკრებულოს მიერ მიერ დაჯილდოვდნენ სიგელებით, ფულადი ჯილდოთი და ფასიანი საჩუქრებით.

ნომინაციაში - ,,საუკეთესო ფერწერა" - პაპუნა ჯინჭარაძე (მე- 5 კლასი)

ნომინაციაში - ,,საუკეთესო კომპოზიცია" - ლუკა ფუტკარაძე (მე-3 კლასი)

ნომინაციაში ,,საუკეთესო ნახატი''- ნანა კვინტრაძე(მე-6 კლასი)

ნომინაციაში,,მნახველის სიმპათია'' - ანასტასია კობიძე (მე-4 კლასი).

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის ყველა მონაწილე ცენტრის მიერ დაჯილდოვდა სიგელებით გამოფენაზე მონაწილეობისათვის.

24 თებერვალი - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები გაიგზავნა ჩეხეთის რესპუბლიკაში საერთაშორისო საბავშვო გამოფენა - კონკურსზე ,, ლიდიცე - 2020''. აღსანიშნავია, რომ სამხატვრო სკოლა უკვე მე-10 წელია იღებს ამ გამოფენაში მონაწილეობას.კონკურსზე გაიგზავნა 18 მოსწავლის ნამუშევარი.

p.s. 2020 წელს ამ კონკურსზე გაიმარჯვა იოანე რუხაძემ (პედაგოგი: მზია კვინტრაძე) და დაჯილდოვდა საპატიო დიპლომით ნომინაციაში: "ძალიან კარგი ნამუშევრისთვის ფერწერასა და ნახატში". ფასიანი საჩუქრები გადაეცა ჩეხეთის საელჩოსგან.

"ლიდიცე-2020" კონკურსზე 78 მონაწილე ქვეყნის, 22 216 ნამუშევარიდან, 500 საპრიზო ნომინაციაში მოხვდა იოანე რუხაძის ნამუშევარი თემაზე:
" ლანდშაფტის მრავალფეროვნება."

26 თებერვალი- ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა დისკუსია თემაზე ,,მოზარდი და რელიგია".რელიგიის ირგვლივ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა - დღის საპატიო სტუმარმა, ჩოხატაურის წმინდა იოაკიმე და ანას სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა დეკანოზმა თომა სიხარულიძემ.მოზარდებმა მიიღეს მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხები. საღამო დასრულდა ლოცვაკურთხევითა და ზეთის ცხებით.

11აპრილი - **(პანდემიის პერიოდში ონლაინ მეცადინეობებზე გადასვლასთან დაკავშირებით, აქტივობები ატვირთული იქნა ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ფეისბუქ გვერდზე.**

11 აპრილი - "მსოფლიო დღეს!"

ონლაინ გაკვეთილების შედეგად შექმნილ ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა თემაზე: "მსოფლიო დღეს" ! (მოსწავლეების მიერ დანახული მსოფლიო პანდემიის COVID-19 პერიოდში)

21 აპრილი- ონლაინ გაკვეთილების შედეგად შექმნილი სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა სააღდგომო ნამუშევრების **ონლაინ გამოფენა** თემაზე ,,ქრისტე აღსდგა".

22 აპრილი-"დედამიწის საერთაშორისო დღე".მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებმა მოსწავლეებთან ერთად დისტანციურად, სახლებში ნერგების დარგვით აღნიშნეს 'დედამიწის დღე'.

9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების 75-ე იუბილე. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ჟურნალისტთა წრის მოსწავლეებმა წრის ხელმძღვანელთან ეკა კოტრიკაძესთან ერთად ვიდეო მასალა და ფოტოები მოგვაწოდეს ჩოხატაურში მცხოვრები მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებული სამი ვეტერანის : გალაქტიონ ჩხიკვაძის, ლუბა სიხარულიძის და ვალერიან ლომთათიძის შესახებ, რომელიც ატვირთული იქნა ორგანიზაციის სოციალურ ქსელში.

26 მაისი - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად დისტანციური მეცადინეობის შედეგად შექმნეს ნახატები თემაზე: "საქართველოს დამოუკიდებლობის დღე! ".

გაერთიანების FB გვერდზე აიტვირთა საფორტეპიანო და საორკესტრო (ფლეიტა) განყოფილების კლასიკური ნაწარმოებები სამუსიკო სკოლის მოსწავლეებისა და მასწავლებლების

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს მიუძღვნეს ლექსები და სიმღერები მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა. შესრულებით.

1 ივნისი- "ბავშვთა დაცვის დღეს" და წმინდა ნინოს საქართველოში შემობრძანებას მიეძღვნა სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების **ონლაინ გამოფენა** და მუსიკალური ნაწარმოებები - სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა მიერ.

22 ივნისი - ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის ეზოში მოეწყო 2020 წლის კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენა. მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ბატონმა მინდია ჟღერიამ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ადმინისტრაციასთან ერთად, კურსდამთავრებულებს სამხატვრო სკოლის დამამთავრებელი მოწმობები გადასცა და წარმატებები უსურვა მათ.

25 ივნისი -ა(ა)იპ ჩოხატაურის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლის ეზოში დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებთან შეხვედრა გაიმართა.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ბატონმა თამაზ ჯინჭარაძემ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ადმინისტრაციასთან ერთად, 17 კურსდამთავრებულს სამუსიკო სკოლის დამამთავრებელი მოწმობები გადასცა და წარმატებები უსურვა მათ.

მოსწავლეები მრავალფეროვანი მუსიკალური ნომრებით დაემშვიდობნენ სამუსიკო სკოლას.

2 ივლისი- "შალომ კლუბის" ორგანიზებით გორაბერეჟოულის დენდროლოგიურ ტყე-პარკში ისრაელის სრულუფლებიან და საგანგებო ელჩთან ბატონ რან გიდორთან და გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულთან ბატონ ზურაბ ნასარაიასთან შეხვედრა გაიმართა.

ერისთავების სასახლის ეზოში ქართულ-ებრაულ ურთიერთობის თემაზე წარმოდგენილი იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნახატები და მუსიკალური ნომრები სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა შესრულებით. შეხვედრა დასრულდა ისაელისა და საქართველოს ჰიმნით.

(პანდემიის გამო ონლაინ მეცადინეობებზე გადასვლა)

17 ნოემბერი- ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების **ონლაინ გამოფენა** თემაზე: „სიურეალიზმის კვალდაკვალ “. .

23 ნოემბერი - გიორგობის დღესასწაულისადმი მიძღვნილი სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების **ონლაინ გამოფენა.**

17 დეკემბერი – წმინდა ქალწულმოწამე ბარბარეს დღესასწაულს მიეძღვნა მუსიკალური ნაწარმოებები (ვიდეოები ჩანაწერები ატვირთულია ორგანიზაციის სოციალურ ქსელში) სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა შესრულებით.

18 დეკემბერი-სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების **ონლაინ გამოფენა** - მიძღვნილი წმ. ბარბარესა და წმ. ნიკოლოზის დღესასწაულისადმი.

19 დეკემბერი - „წმინდა ნიკოლოზის“ დღესასწაულისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებები (ვიდეო ჩანაწერი)- სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა შესრულებით.

29 დეკემბერი- ონლაინ მეცადინეობებისგან შექმნილი სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების ,,**საახალწლო გამოფენა**“.

30 დეკემბერი - ონლაინ მეცადინეობებით მომზადებული ახალი წლისადმი მიძღვნილი მუსიკალური ნაწარმოებები (ვიდეო ჩანაწერი) სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა შესრულებით.

ADD SCAN TO ANY WEBSITE asprise.com/Scanner.js FOR EVALUATION USE ONLY

11.ქონების გადასახადი - 112.71 ლარი /საკუთარი შემოსავლებით/

12.საკურიერო მომსახურეობა - 15.10 ლარი

13.სამეურნეო საქონელი - 158 ლარი

14. სადეზინფექციო ხსნარები - 32 ლარი

15.ელექტრონული შტამპი - 250 ლარი

სულ ხარჯებმა შეადგინა - 108088.14 ლარი.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანების დირექტორი: ქ.გიორგაძე

441995977